საიდ. №74551/03

IR 1178830

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №05-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ა. დალაქიშვილი, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „კიკო ს.პ.ა.” (KIKO S.P.A.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №05-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 07 ოქტომბრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №2562/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „KIKO” (საიდ. №74551/03 IR 1178830) დაცვის მინიჭება საქართველოში მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (35-ე კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 07 ოქტომბრის №2562/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ ნიშანს „KIKO“ უარი უნდა ეთქვას დაცვის მინიჭებაზე, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის ,,არტსანა ს.პ.ა.“ („ARTSANA S.P.A.") (მისამართი: Via Saldarini Catelli 1, I- 22070 Grandate (CO); IT) სახელზე მე-3 კლასის მსგავსი საქონლის ჩამონათვლისთვის საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა: „Chicco“ (IR 763084, რეგ.თარიღი: 2001-05-29) და ფიზიკური პირის თორნიკე არჩვაძის (მის: ა. წერეთლის გამზ.77, კორპ. 5, ბინა 26, თბილისი; საქართველო) სახელზე 35-ე, მე-9 და მე-14 კლასის მსგავსი საქონლის და მომსახურების ჩამონათვლისთვის საქპატენტში რეგისტრირებული ნიშნისა "CHICO'S" (რეგისტრაციის № 19391, რეგისტრაციის თარიღი: 2009-06-03). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ და რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებს აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა და მართალია, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი მოიცავს მხოლოდ 35-ე კლასს მაგრამ მასში შემავალი მომსახურების ჩამონათვალი, მჭიდროდ არის დაკავშირებული მე-3, მე-14, და მე-9 კლასის საქონლით ვაჭრობასთან, ხოლო დაპირისპირებულ ნიშანში (N 763084) შემავალი 35-ე კლასის მომსახურების ჩამონათვლის მსგავსია. ყოველივე ზემოაღნიშნული ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის „კიკო ს.პ.ა.” წარმომადგენელი შალვა გვარამაძე არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი განსხვავდება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებისაგან ვიზუალურად და ჟღერადობით და ეს განსხვავება სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ არ მოხდეს მომხმარებლის მხრიდან ამ სასაქონლო ნიშნებით მონიშნული საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთა ერთმანეთში აღრევა. აპელანტის პოზიციით, განცხადებული ნიშანი განსხვავებულია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნისაგან „CHICO’S” (რეგ. №19391), რადგან წარმოდგენილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ლათინური ასომთავრული შრიფტით შესრულებულ სიტყვას „KIKO“, რომელიც ქართულად იკითხება როგორც „კიკო”. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „CHICO’S” ექვსასოიანია და ქართულად გამოითქმის როგორც „ჩიკოს”. განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ძირითადი (თხრობითი) ფორმით არის მოცემული, მაშინ როცა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის ფორმა კუთვნილებითია. ეს გარემოება ქმნის ამ ორ ნიშანს შორის განსხვავების საკმარის დონეს, რათა არ მოხდეს ამ სასაქონლო ნიშნებით მონიშნული მომსახურების მომწოდებლების ერთმანეთში აღრევა. აპელანტის მითითებით, ნიშნები საკმაოდ განსხვავებულია ვიზუალური თვალსაზრისით. აპელანტის სასაქონლო ნიშანში ლათინური ასო-ბგერა „C” საერთოდ არ არის, მაშინ როცა დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში ის ორია. დამატებითი ასოების „H”, „S” არსებობა დაპირისპირებულ ნიშანში მეტ განმასხვავებლობას სძენს ნიშანს და ფაქტობრივად გამორიცხავს აღრევას. რაც შეეხება მეორე დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს „chicco”, (IR 763084) ამ შემთხვევაშიც განსხვავებულია ნიშნები, რადგან წარმოდგენილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ლათინური ასომთავრული შრიფტით შესრულებულ სიტყვას „KIKO“, რომელიც ქართულად იკითხება როგორც „კიკო”. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „chicco” ექვსასოიანია და ქართულად გამოითქმის როგორც „ჩიკო”. ნიშნები საკმაოდ განსხვავებულია ვიზუალური

თვალსაზრისით. აპელანტის სასაქონლო ნიშანში ლათინური ასო-ბგერა „C" საერთოდ არ არის, მაშინ როცა დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში ის სამია. აპელანტის აზრით დამატებითი ასოს „H" არსებობა დაპირისპირებულ ნიშანში მეტ განმასხვავებლობას სძენს ნიშანს და ფაქტობრივად გამორიცხავს აღრევას. აპელანტის განმარტებით, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში დაპირისპირებული ნიშნის „chicco" (IR 763084) მფლობელი და განმცხადებელი ორივე იტალიური კომპანიაა. განმცხადებელი წარმოდგენილია „KIKO COSMETICS" ონლაინ მაღაზიის ვებ გვერდით, რომელიც 1997 წლიდან ვაჭრობს კოსმეტიკური საშუალებებით ევროპის მასშტაბით და ასევე, აშშ-ში (http://www.kikocosmetics.com/). სასაქონლო ნიშნით „KIKO" მონიშნულია სახის მოვლის საშუალებები, დეკორატიული კოსმეტიკა და ასევე ნივთები, რომლებიც გამოიყენება სახის მოვლისა და მაკიაჟისათვის. სწორედ ასეთი პროდუქციით ვაჭრობისათვის არის განკუთვნილი ეს ვებ-გვერდი და ასევე ვიწროდ აქვს აპელანტს განცხადებული მომსახურებები 35-ე კლასიდან: „საცალო ვაჭრობა, აგრეთვე ონ-ლაინ აღბეჭდილი სარეცხი საპონი, პარფიუმერია, დეზოდორანტები პირადი მოხმარებისათვის, ეთერზეთები, კოსმეტიკა, თმის მოვლის საშუალებები, კბილის პასტები, კოსმეტიკური კრემები, კოსმეტიკური ლოსიონები, გელები, ბალზამები კოსმეტიკური მოხმარებისთვის, აბაზანის მარილი, მაკრატელი, ხელოვნური ფრჩხილები, პინცეტები, ხელისა და ფეხის მოვლის საშუალებების ნაკრებები, ხელის მოვლის ხელსაწყოები, ფეხის მოვლის ხელსაწყოები, წამწამების ფორმის შემცვლელი, წამწამების განმაცალკევებელი, ფრჩხილის ბრტყელტუჩა, ფრჩხილის გასაპრიალებელი, ფრჩხილის მაკრატელი (ელექტრონული და არაელექტრონული), საპარსები, კოსმეტიკური ღრუბელი, ღრუბელი საპარსი საშუალებისთვის, მაკიაჟის წასასმელი სახის ღრუბელი, ტუალეტის ღრუბლები, დაპრესილი პუდრი, მაკიაჟის დასაფიქსირებელი ჯოხი, ფრჩხილის ჯაგრისები, წარბის ჯაგრისები, წამწამის სავარცხელი, ტუალეტის ჯაგრისები, სავარცხელი, პარფიუმერიული სასხური, საპნის დასადები, საპნის განმხსნელები, კოსმეტიკური საშუალებების შესანახი კონტეინერები, კოსმეტიკის კონტეინერები, ლითონის

სათავსოები, ფეხის თითების განმაცალკავებელი ხელსაწყო, სათვალეები, მზის სათვალეები, სათვალის ჩარჩოები, სათვალის ბუდეები, სათვალის მინის ლინზები, საიუველირო ნაწარმი, ტანსაცმლის საიუველირო ნაწარმი და საათები, გარდა მომსახურებისა რომელიც დაკავშირბეულია ჩვილებისა და 11 წელს ზევით" (Retail services, rendered also on-line, featuring soaps, perfumery, deodorants for personal use, essential oils, cosmetics, preparations for the care and the treatment of the hair, dentifrices, creams, lotions, gel, balms for cosmetic use, bath salts, scissors, nail files, tweezers, manicure and pedicure sets, manicure implements, pedicure implements, eyelash curlers, eyelash separators, nail nippers, nail polishers, nail clippers, electric or non-electric, razors, cosmetic brushes, shaving brushes, face sponges for applying make-up, toilet sponges, powder compacts, applicator sticks for applying makeup, nail brushes, eyebrow brushes, eyelash combs, toilet brushes, combs, perfume sprayers, powder compacts, soap dishes, soap dispensers, containers for cosmetic articles, containers for cosmetics, storage canisters, foam toe separators for use in pedicures, spectacles, sunglasses, frames for spectacles, cases and chains for spectacles, eyeglass lenses, jewellery, costume jewellery and watches, excluding services related to goods for infants and children up to 11 years old). დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის „chicco" (IR 763084) მფლობელია ასევე, იტალიური კომპანია „არტსანა ს.პ.ა.". საქართველოში მოქმედებს კომპანიის „არტსანა ს.პ.ა." წარმომადგენლობა და სამი საფირმო მაღაზია. ამ სასაქონლო ნიშნით მონიშნული საქონელი იყიდება სააფთიაქო ქსელებში საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში და აქედან გამომდინარე, ის საკმაოდ ცნობილია ქართველი მომხმარებლისათვის. ზემოთ აღნიშნული გარემოება ადასტურებს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „CHICCO" საქართველოში გამოიყენება ხანგრძლივად და დიდი ხნით ადრე ვიდრე მოხდებოდა აპელანტის მიერ სასაქონლო ნიშნის გავრცელებაზე მოთხოვნა საქართველოში. აპელანტის პოზიციით, მომხმარებელი კარგად იცნობს დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლი ნიშნით მონიშნულ პროდუქციას და არ იფიქრებს, რომ მომსახურებებს 35-ე კლასიდან ნიშნით „KIKO" მას

სთავაზობს იგივე მწარმოებელი. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ნიშნების მხოლოდ ფონეტიკურ მსგავსებას, რაც არ არის საკმარისი იმის სამტკიცებლად, რომ მომხმარებელი შეცდომაში იქნება შეყვანილი, მათ შორის ასოცირების შედეგად. აპელანტის მითითებით, იგი არ იზიარებს ექსპერტიზის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „chicco" საქართველოში დაცვა მინიჭებული აქვს იმ საქონლისათვის, რომელსაც მომხმარებელს სთავაზობს აპელანტი მომსახურების სახით. მართალია, რომ მომსახურების ჩამონათვალი მოიცავს მე-3 კლასში შემავალ საქონელს, მაგრამ თანაკვეთა ხდება მხოლოდ საპნებში და კოსმეტიკურ საშუალებებში. დანარჩენი საქონელი მე-3 კლასიდან განსხვავებულია და არ არის დაცული დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნით IR 763084. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნით არ არის დაცული ასევე მაგალითად ისეთი საქონელი როგორიცაა ჯაგრისები, სარკეები, საპნის ჩასადებები, კოსმეტიკური საშუალებების ჯაგრისები, სათვალეები, მათი ჩასადებები, სათვალის ლინზები, საიუველირო ნაწარმი და ა.შ. აპელანტის განმარტებით, ყურადღება უნდა მიექცეს ასევე იმ ფაქტს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი საქართველოში გავრცელებულია შეზღუდული საქონლის ჩამონათვალისათვის და არ არის დაცული მე-9, მე-14 და მე-18 კლასის საქონლისათვის. ექსპერტის ლოგიკის გათვალისწინებით, ჩნდება ეჭვი, რომ უსამართლოდ არის დარეგისტრირებული ასევე, ეროვნული სასაქონლო ნიშანი „CHICO'S" (რეგ. 19391), ფიზიკური პირის თორნიკე არჩვაძის სახელზე. თუ მოხდება ამ ორი დაპირისპირებული ნიშნის შედარება, აშკარაა, რომ მათი მსგავსების კოეფიციენტი უფრო მაღალია ვიდრე თითოეულის მსგავსების დონე განცხადებულ სასაქონლო ნიშანთან „KIKO". ექსპერტის ლოგიკის გათვალისწინებით, ფიზიკური პირი თორნიკე არჩვაძისთვის უარი უნდა ეთქვათ 35-ე კლასის მომსახურებების რეგისტრაციაზე იმავე მოტივით, რადგან მას უფლება აქვს ივაჭროს იგივე საქონლით, რაც დაცულია საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის (IR 763084) რეგისტრაციით საქართველოში. ეს მაგალითი ნათლად ასახავს იმას, რომ ექსპერტიზის ლოგიკა არასწორია და შესაბამისად,

უნდა მოხდეს გასავრცელებლად წარმოდგენილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის “KIKO” (IR 1178830) გავრცელება საქართველოში 35-ე კლასის მომსახურებებისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 07 ოქტომბრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №2562/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „KIKO” (საიდ. №74551/03, IR 1178830) დაცვის მინიჭებას საქართველოში მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

სააპელაციო პალატის კოლეგია მიიჩნევს, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი ,,KIKO” და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ,,CHICO’S” არ არის აღრევამდე მსგავსი. განცხადებული ნიშანი ,,KIKO” შესრულებულია ლათინური ანბანით და შედგება ოთხი ასოსაგან, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი ,,CHICO’S” კი ექვსი ასოსაგან. სრულიად განსხვავებულია ნიშნებში არსებული ასოები, ისევე როგორ მათი საწყისი და ბოლო ელემენტები ,,KI-CHI” და ,,KO-CO’S”. ამასთან აღსანიშნავია, რომ დაპირისპირებულ ნიშანში ნიშნის ბოლო ასო ,,S” გამოყოფილია აპოსტროფით, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ნიშნებს შორის არსებულ განსხვავებას. რაც შეეხება ნიშნების ფონეტიკას კოლეგიის აზრით, ისინი განსხვავდებიან ფონეტიკურად. განცხადებული ნიშანი გამოითქმის როგორც

,,კიკო“, ხოლო დაპირისპირებული ნიშანს კი, გამომდინარე იქედან, რომ იგი ესპანური სიტყვაა, ქართველი მომხმარებელი მას წაიკითხავს, როგორც ,,ჩიკოს“ და არა, როგორც ,,კიკოს“. ნიშნების სემანტიკასთან დაკავშირებით კოლეგია აღნიშნავს, რომ ,,KIKO” ფანტაზიური სიტყვაა, ხოლო ,,CHICO'S” ესპანურ ენაზე ნიშნავს პატარა ბიჭებს. ამდენად, კოლეგია მიიჩნევს, რომ ნიშნები არ არის აღრევამდე მსგავსი და შესაბამისად არ მოხდება ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

მეორე დაპირისპირებულ ნიშანთან ,,chicco” (IR 763084) დაკავშირებით კოლეგია მიიჩნევს, რომ ვიზუალური თვალსაზრისით ნიშნები განსხვავებულია. მართალია, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით, მაგრამ განსხვავებულია მათი ასოთა კომბინაცია და რაოდენობა. ამასთან, კოლეგია იზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ დაპირისპირებულ ნიშანში სამი ლათინური ასოს - „C”, „C”, „H” არსებობა მეტ განმასხვავებლობას სძენს ნიშანს, რაც კიდევ მეტად ამცირებს ნიშნების ვიზუალურ მსგავსებას. შესაბამისად, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ ვიზუალური თვალსაზრისით დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები არ არის მსგავსი.

რაც შეეხება ნიშნების ჟღერადობას, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ჟღერადობით იდენტურია და ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის როგორც -,,კიკო“. სააპელაციო პალატის კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის მტკიცებას იმასთან დაკავშირებით, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის როგორც - ,,ჩიკო“. კომპანიის ,,არტსანა ს.პ.ა.“ (ARTSANA S.P.A.) სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის „chicco“ (რეგ. N763084) ქართული ტრანსლიტერაციაა ,,კიკო“ (kikko) (http://www.wordreference.com/iten/chicco; http://en.bab.la/dictionary/italian-english/chicco) შესაბამისად, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ ფონეტიკური თვალსაზრისით დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები იდენტურია.

ამავდროულად კოლეგია აღნიშნავს, რომ სასაქონლო ნიშნებს შორის მსგავსების დადგენისას, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააპელაციო პალატის კოლეგია მხედველობაში იღებს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალს, ვინაიდან სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ნიშნების ფონეტიკური, სემანტიკური და ვიზუალური მსგავსება, თუ იდენტურობა, არამედ ასევე იმ საქონლის ჩამონათვალის მსგავსება თუ იდენტურობა, რომლისთვისაც მოითხოვება სასაქონლო ნიშნის დაცვა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული ნიშნის, მე-3 კლასის საქონლის ჩამონათვლის შეზღუდვის პირობებში, აღარ იარსებებს სასაქონლო ნიშნების აღრევის შესაძლებლობა. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „chicco“ (IR763084) დაცულია მე-3 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალისათვის: ,,3 - მათეთრებელი პრეპარატები; საპნები; პარფიუმერია, ეთერზეთები, კოსმეტიკური საშუალებები, თმის ლოსიონები; კბილის პასტები.“ (,,Bleaching preparations; soaps; perfumery, essential oils, cosmetics, hair lotions; dentifrices“), ხოლო განცხადებული სასაქონლო ნიშნის დაცვა მოითხოვება 35-ე კლასის მომსახურების შემდეგი ჩამონათვალისათვის: „საცალო ვაჭრობა, აგრეთვე ონ-ლაინ აღბეჭდილი სარეცხი საპონი, პარფიუმერია, დეზოდორანტები პირადი მოხმარებისათვის, ეთერზეთები, კოსმეტიკა, თმის მოვლის საშუალებები, კბილის პასტები, კოსმეტიკური კრემები, კოსმეტიკური ლოსიონები, გელები, ბალზამები კოსმეტიკური მოხმარებისთვის, აბაზანის მარილი, მაკრატელი, ხელოვნური ფრჩხილები, პინცეტები, ხელისა და ფეხის მოვლის საშუალებების ნაკრებები, ხელის მოვლის ხელსაწყოები, ფეხის მოვლის ხელსაწყოები, წამწამების ფორმის შემცვლელი, წამწამების განმაცალკევებელი, ფრჩხილის ბრტყელტუჩა, ფრჩხილის გასაპრიალებელი, ფრჩხილის მაკრატელი (ელექტრონული და არაელექტრონული), საპარსები, კოსმეტიკური ღრუბელი, ღრუბელი საპარსი საშუალებისთვის, მაკიაჟის წასასმელი სახის ღრუბელი,

ტუალეტის ღრუბლები, დაპრესილი პურდი, მაკიაჟის დასაფიქსირებელი ჯოხი, ფრჩხილის ჯაგრისები, წარბის ჯაგრისები, წამწამის სავარცხელი, ტუალეტის ჯაგრისები, სავარცხელი, პარფიუმერიული სასხური, საპნის დასადები, საპნის განმხსნელები, კოსმეტიკური საშუალებების შესანახი კონტეინერები, კოსმეტიკის კონტეინერები, ლითონის სათავსოები, ფეხის თითების განმაცალკავებელი ხელსაწყო, სათვალეები, მზის სათვალეები, სათვალის ჩარჩოები, სათვალის ბუდეები, სათვალის მინის ლინზები, საიუველირო ნაწარმი, ტანსაცმლის საიუველირო ნაწარმი და საათები, გარდა მომსახურებისა რომელიც დაკავშირბეულია ჩვილებისა და 11 წელს ზევით” (35 Retail services, rendered also on-line, featuring soaps, perfumery, deodorants for personal use, essential oils, cosmetics, preparations for the care and the treatment of the hair, dentifrices, creams, lotions, gel, balms for cosmetic use, bath salts, scissors, nail files, tweezers, manicure and pedicure sets, manicure implements, pedicure implements, eyelash curlers, eyelash separators, nail nippers, nail polishers, nail clippers, electric or non-electric, razors, cosmetic brushes, shaving brushes, face sponges for applying make-up, toilet sponges, powder compacts, applicator sticks for applying makeup, nail brushes, eyebrow brushes, eyelash combs, toilet brushes, combs, perfume sprayers, powder compacts, soap dishes, soap dispensers, containers for cosmetic articles, containers for cosmetics, storage canisters, foam toe separators for use in pedicures, spectacles, sunglasses, frames for spectacles, cases and chains for spectacles, eyeglass lenses, jewellery, costume jewellery and watches, excluding services related to goods for infants and children up to 11 years old).

კოლეგიას მიაჩნია, რომ მართალია, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-3 კლასის საქონლის მიმართ, ხოლო განცხადებული სასაქონლო ნიშნის დაცვა მოითხოვება 35-ე კლასის მომსახურების იმ ჩამონათვალის მიმართ, რომელიც უკავშირდება მე-3 კლასის საქონლით ვაჭრობასთან, შესაბამისად ნიშნების საქონლისა და ამ საქონელთან დაკავშირებული მომსახურების ჩამონათვალი მიჩნეულ უნდა იქნას მსგავსად. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აშკარაა მე-3 კლასის საქონლის ჩამონათვალსა და 35-ე

კლასის მომსახურების ჩამონათვალს შორის არსებული მსგავსება. კერძოდ განცხადებული ნიშნის მე-3 კლასის საქონლის ჩამონათვალია: „მათეთრებელი პრეპარატები; საპნები; პარფიუმერია, ეთერზეთები, კოსმეტიკური საშუალებები, თმის ლოსიონები; კბილის პასტები, ხოლო დაპირისპირებული ნიშნის 35-ე კლასის მომსახურების ჩამონათვალი პირდაპირ მიუთითებს მე-3 კლასში მითითებული საქონლის ჩამონათვლით ვაჭრობაზე, მაგალითად, 35-ე კლასის ისეთი ჩამონათვალი როგორიც არის, „ საცალო ვაჭრობა, აგრეთვე ონ-ლაინ აღბეჭდილი სარეცხი საპონი, პარფიუმერია, პირადი მოხმარების დეზოდორანტი, ეთერზეთები, კოსმეტიკა, თავისა და თმის მოვლის საშუალებები, კბილის პასტები, კრემები და ლოსიონები (Retail services, rendered also on-line, featuring soaps, perfumery, deodorants for personal use, essential oils, cosmetics, preparations for the care and the treatment of the hair, dentifrices, creams, lotions) და ა.შ. სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქონლის შემდეგი სახით შეზღუდვის პირობებში, აღარ იარსებებს სასაქონლო ნიშნების აღრევის შესაძლებლობა: 35-ე კლასი - „საცალო ვაჭრობა, აგრეთვე ონ-ლაინ აღბეჭდილი აბაზანის მარილი, მაკრატელი, ხელოვნური ფრჩხილები, პინცეტები, ხელისა და ფეხის მოვლის საშუალებების ნაკრებები, ხელის მოვლის ხელსაწყოები, ფეხის მოვლის ხელსაწყოები, ფრჩხილის ბრტყელტუჩა, ფრჩხილის გასაპრიალებელი, ფრჩხილის მაკრატელი (ელექტრონული და არაელექტრონული), საპარსები, ღრუბელი საპარსი საშუალებისთვის, ტუალეტის ღრუბლები, ფრჩხილის ჯაგრისები, ტუალეტის ჯაგრისები, სავარცხელი, ლითონის სათავსოები, ფეხის თითების განმაცალკავებელი ხელსაწყო, სათვალეები, მზის სათვალეები, სათვალის ჩარჩოები, სათვალის ბუდეები, სათვალის მინის ლინზები, საიუველირო ნაწარმი, ტანსაცმლის საიუველირო ნაწარმი და საათები, გარდა მომსახურებისა რომელიც დაკავშირბეულია ჩვილებისა და 11 წელს ზევით” (Retail services, rendered also on-line, featuring bath salts, scissors, nail files, tweezers, manicure and pedicure sets, manicure implements, pedicure implements, nail nippers, nail polishers, nail clippers, electric or non-electric,

razors, shaving brushes, nail brushes, toilet sponges, toilet brushes, combs, storage canisters, foam toe separators for use in pedicures, spectacles, sunglasses, frames for spectacles, cases and chains for spectacles, eyeglass lenses, jewellery, costume jewellery and watches, excluding services related to goods for infants and children up to 11 years old).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, 35-ე კლასის მომსახურების ზემოაღნიშნული სახით შეზღუდვის პირობებში, აღარ იარსებებს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „KIKO" (საიდ. №74551/03 IR 1178830) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „კიკო ს.პ.ა." (KIKO S.P.A.) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 07 ოქტომბრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ N2562/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე 35-ე კლასის მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „KIKO" (საიდ. №74551/03 IR 1178830) მიენიჭოს დაცვა საქართველოში 35-ე კლასის მომსახურების შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „საცალო ვაჭრობა, აგრეთვე ონ-ლაინ აღბეჭდილი აბაზანის მარილი, მაკრატელი, ხელოვნური ფრჩხილები, პინცეტები, ხელისა და ფეხის მოვლის საშუალებების ნაკრებები, ხელის მოვლის ხელსაწყოები, ფეხის მოვლის ხელსაწყოები, ფრჩხილის ბრტყელტუჩა, ფრჩხილის გასაპრიალებელი, ფრჩხილის მაკრატელი (ელექტრონული და არაელექტრონული), საპარსები, ღრუბელი საპარსი საშუალებისთვის, ტუალეტის ღრუბლები, ფრჩხილის ჯაგრისები, ტუალეტის ჯაგრისები, სავარცხელი, ლითონის სათავსოები, ფეხის თითების განმაცალკავებელი ხელსაწყო, სათვალეები, მზის სათვალეები, სათვალის ჩარჩოები, სათვალის ბუდეები, სათვალის მინის ლინზები, საიუველირო ნაწარმი, ტანსაცმლის საიუველირო ნაწარმი და საათები, გარდა მომსახურებისა რომელიც დაკავშირბეულია ჩვილებისა და 11 წელს ზევით" (Retail services, rendered also on-line, featuring bath salts, scissors, nail files, tweezers, manicure and pedicure sets, manicure implements, pedicure implements, nail nippers, nail polishers, nail clippers, electric or non-electric, razors, shaving brushes, nail brushes, toilet sponges, toilet brushes, combs, storage canisters, foam toe separators for use in pedicures, spectacles, sunglasses, frames for spectacles, cases and chains for spectacles, eyeglass lenses, jewellery, costume jewellery and watches, excluding services related to goods for infants and children up to 11 years old).

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ა. დალაქიშვილი

ქ. კილაძე